



წლიწლი მესამე

სამუშაო უნივერსიტეტი

მუსავათი



ეცვილეთი 14.

№ 18.

— მისამართი სამუშაო უნივერსიტეტი სამუშაო მისამართი და გერმანიული ინსტიტუტი და მისამართი სამუშაო უნივერსიტეტი და მისამართი სამუშაო უნივერსიტეტი და მისამართი სამუშაო უნივერსიტეტი

შინაგანი:

გ. რცხილაძე.....	დარგინის თეორია.....	3
მღ. ალ. ჯალიაშვილი.....	მეცნიერების კაჯენდარი.....	6
„მოსაყ.“ წარმომადგენელი. ეგროშის ბაზარი.....		12

საყურადღებო ცნობები:

დამწერის წამალი.....	16
მუწესის გამოსარწევა წამალი.....	—
კოდოს ნაკბენის წამლობა.....	—
უუტკის ან კელას ნაკბენის წამლობა.....	—
შექმნის წამლობა.....	—
შეცდომის გასწორება.....	16

სამეურნეო ჟურნალი

ქრისტალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი პირებისა: — არ შეიღო კ.,
ანაზღეული, ახლანა ი., ბერება შეიღო კ., გულაბათი შეიღო კ., გვარამაძე კ., გორთამა შეიღო კ.,
ედილა შეიღო ჩ., გაჭრი შეიღო კ., თაქთაქი შეიღო კ., თოძე კ., იოსელიანი ე., გახლიძე ს., გარ-
ბელა შეიღო ელ., გარალევი კ., მაჩიბელი ა., მღიგანი დ., მჭედლი შეიღო კ., ნახუცი შეიღო კ.,
ონიკოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე სტ. კ., რცხილაძე სტ. კ., ფურცელაძე ი.,
ფალაგან შეიღო დ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე მ., ქარცგაძე ვ., ყიფანი პ., ჩივაძე კ., ტხადა-
ძე გრ., ხუნდაძე ს., შავლიევი ჰ., ქნა შეიღო შ., ჯიქა ლ., გახელი მევენახე, ზემონოვი ექიმი.

რედაქტორი მოვლის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საზურადლებო.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი
(თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პრივატულად მათი
ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორის და შეამოკლოს.
წერილები და კორესპონდენციები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასა-
ბრუნებლად.

რედაქტორი მზეთ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუმავ-
ლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინებისა და აგრევე ყველა სამეურნეო ნაწარმოების
შეძენააგასადებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკან ლ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი
(ვენტრი, ან აკადემიური, ასოთი) განცხადებისა ღირს თარი შაური.

წლიური აბონემეტებისათვის განცხადების ფასი რედაქტორისთვის შეთანხმებით. კ. ა. ტ.
განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქტორ ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის უფასოდ
დამატება-ბრინჯურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

შურცალი წელიწადში ლის ვ მავთი.

რედაქციის ადრესი: თიფლის, ბარათინსკა, ნ. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილავი

დარვინის თეორია

დარვინის თეორია უმთავრესად მდგომარეობს შემდეგში:

ორგანიზმოები ერთიდაიგივე აგებულებისანი არა რჩებიან მუდამ, არამედ იცვლებიან. ამის გამო ერთიდაიმავე შთამომავლობის წარმომადგენელნი არ წავიდან ერთმანეთს ყველაფერში, არამედ ყოველს მათგანს თავისი ინდივიდუალური (პირადი) განსხვაება აქვს, რომელიც გადადის შემდეგ შთამომავლობაში.

ორგანიზმოთა განსხვაება სწარმოებს ყველა მხრივ და არა ერთი რომელიმე განსაზღვრული მიმართულებით. ინდივიდუალური განსხვავებანი შემდეგ ჩამომავლობებში შეიძლება თანდათან შეგროვდნენ, შეერთდნენ და წარმოსდგეს ახალი ფორმა. ამ შეგროვება-შეერთებაში ყველაზე მეტად მოქმედობს შერჩევა ანუ არჩევანი (Selection).

ესეთი შეგროვება-შეერთება ინდივიდუალური თვისებებისა ძალიან კარგადა სხანს შინაური საქონლის და ფრინველების ახალი ჯიშების შემუშავებაში.

როცა მაგალითად გვინდა გავზარდოთ ცხოველი გძელ-ბალნიანი ან წვრილ-ბეჭვიანი, ძვალ-მსხვილი ან დიდლე-შიანი და სხ., ახლად დაბადებულ თაობიდან ვარჩევთ იმ წარმომადგენლებს, რომელთაც ჩვენთვის სასურველი ნიშნები ცოტათი მაინც მეტად ეტყობათ, ვიდრე სხვებს, და ვურდით ამ წარმომადგენლებს ცალკე.

ამ წარმომადგენლებიდან განსხვაება იგი გარდა ეცემა მათ შთამომავლო-

ბას, სადაც ზოგს მეტად დაემჩნევა, ზოგს ნაკლებად. ამ თაობიდანაც ავარჩევთ იმათ, რომელთაც ზემოხსენებული განსხვაება მეტად ეტყობათ და გავზღდით ცალკე. ბოლოს და ბოლოს მოშენდება ანუ შემუშავდება ამ გზით ისეთი ჯიში, როგორიც ჩვენა გვსურდა.

როგორ მალე შეიძლება ასეთი შერჩევით კაცმა მიაღწიოს თავის განზრახვებს, ამისი მაგალითი თითონ დარვინის მოჰყავს: დაპირდნენ ქრთამს ვინც ესპანელ ქათმებიდან გაზღდიდა ისეთ მამალს, რომელსაც ბიბილო მაღლა აშვეული ექნებოდა და არა ძირს დაშვეული, და ხუთის წლის განმავლობაში წესიერის შერჩევით ესეთი მამლები დაზარდეს.

არჩევნით გამოწვეული ორგანიზმოს ახალი თვისება შეიძლება ზომითაც დიდად განსხვავდებოდეს.

იაპონელებმა, მაგალითად, შერჩევით ისეთი მამლები დაზარდეს ქათმისა, რომელთაც ბოლოები 6 ფუტი (2 აზ. 91/7 ვერშ.), ესე იგი ორ არშინ ნახევარზე მეტი აკვთ სიგძით.

შინაური ცხოველების ხელოვნურად შერჩევა მოქმედობს იმ თავიდანვე, როდესაც ადამიანმა დააშინაურა ეს ცხოველები, ხოლო არჩევანს ადამიანი აკეთებდა და აკეთებს დღესაც ერთი რომელიმე წინადვე შემუშავებული გეგმის თანახმად კი არა, არამედ როდესაც როგორ მოჰყვდება. ამითი უნდა აქცინათ რომ დღეს თითოეულ გვარის შინაურ ცხოველებში ისეთი დიდი

განსხვაება არ არის, როგორიც მოსალოდნელი იყო ამ ხანში.

ესეთ ხელოვნურ შერჩევას უწეს-რიგო, შემთხვევითი ხასიათი აქვს, შე-მთხვევითი შერჩევა.

ხელოვნური შერჩევით შინაური ცხოველების და ფრინველების ბევრი სხვადასხვა ჯიშია შემუშავებული.

ზოგი მათგანი ძველის ძველად არიან წარმომდგარნი, ზოგნი კი თუმცა ახლები არიან (მირინსები), ზოგი ჯიშის ძროხა, ღორი, ცხენი), მაგრამ ისე ძნელად გადაგვარდებიან, როგორადაც პირველნი; საზოგადოდ კი უნდა ვსთქვათ რომ ყოველი ჯიში ხელოვნური შერჩევით მიღებული ისევ ადვილად უბრუნდება თავის პირვანდელ ფორმას, თუ მოხვდა მას და სისხლით შეერია.

რაც შეეხება შინაური ცხოველების ჩამომავლობას გარეულ ცხოველებიდან, უნდა ვსთქვათ რომ ზოგი შინაური ცხოველები ჩამომავლობენ სხვადასხვა გარეული ჯიშებიდან (მაგ. ძალები), ზოგნი კი, მიუხედავად დიდალი განსხვავებისა, მათ შორის ერთი-დაიგვევე გარეული ჯიშიდან არიან წარმოშდგარნი.

საუკეთესო მაგალითს ამისას შინაურ მტრედებზე ვხედავთ. ყველა მტრედები წარმოსდგნენ გარეული ქედნისგან (*Columba livia*), რომელიც სცხოვრობს ეკროპაშიაც, აზიაშიაც და ჩრდილოეთ აფრიკაშიაც და დღეს იმდენად განსხვავდება შინაური მტრედისგან, რომ ვინც მათი ნათესაობა არ იცის, მან უნდა იგინი არამც თუ მარტო გვაროვნობით, არამედ ტომითაც სხვადასხვა ფრინველებს აკუთვნოს.

არსებობს თუ არა ბუნებაში ხელოვ-

ნური არჩევნის მზგავსი რამ მოვლენადული თავისთავად?

დარგინი ამბობს: არსებობს.

ცხოველებს, როგორც ვიკით, დიდი უნარი აქვთ გამრავლებისა. ამის გამო მათ შორის გამწვავებული ბრძოლაა არსებობისათვის.

მომეტებული ნაწილი ცხოველებისა ამ ბრძოლაში იხოცება და მცირედი ნაწილიდა რჩება ცოცხალი.

საარსებო ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის და იძლევა შთამომავლობას. ის ორგანიზმო, რომელიც რაიმე განსაკუთრებული თვისებებისა გამო უფრო კარგად შექმნისებია ცხოვრების პირობებს. ის ორგანიზმო კი, რომელიც მათ პირობების ასატანად სხვაზე ნაკლებად არის მომზადებული, სხვაზე ჩეარა იღუპება.

ამ სახით მომქმედი განუწყვეტლივად ბუნებრივი არჩევანი აძლებინებს ცხოვრებაში მხოლოდ საუკეთესოდ ვანკითარებულ ორგანიზმოებს.

საარსებო ბრძოლაში გამარჯვებას აძლევს ორგანიზმოს ზოგჯერ ისეთი რამ ანატომიური ან ფიზიოლოგიური განსხვაება, რომელიც პირადად მის დღეგრძელობისათვის მავნებელია, მაგრამ ჯიშს კი იცავს განადგურებისაგან.

არსებითად ეს ორივე გვარი არჩევანი ხელოვნურიც და ბუნებრივიც, როგორადაც ფაქტორი, უარყოფითია. თვით არჩევანი არ ჰბადას არც ერთ განსხვაებას, არამედ უარ ჰყოფს, ანადგურებს ცხოვრებაში ნაკლებად მომზადებულ ორგანიზმოებს და მით ხელს უწყობს უკვე არსებულ ცვლილებათა გაძლიერებას და სხვა ახალი ფორმის წარმოდგენას, რომელიც თანდათან შორინების მიზანის გადასაცემად არის განვითარებული.

დება პირველად ყოფილს, საიდანაც იგი მომდინარეობს.

ამ ახალ ფორმების შესაღენად მასალას წარმოადგენენ ის წვრილმანი ინდივიდუალური ცვლილებანი, რომელნიც გამოიწვევიან ორგანიზმოებში სხვადასხვა მოულოდნელი მიზეზებით.

არჩევანი სცვლის ორგანიზმოს ისე რომ გაუადვილდეს მას ცხოვრება არსებულ პირობებში და არა შედგენილობა მისი ანატომიური გართულდეს. ამიტომ თუ ორგანიზმოთა სამეფოში სიტყვა პროგრესი ნიშნავს ორგანიზმოებისაგან მათ გარეშე არსებულ პირობა-გარემოების უკეთეს შეთვისებას ცხოვრების გასაადვილებლად, მაშინ ყოველი შედეგი არჩევანით გამოწვეული ბუნებაში პროგრესით უნდა დავსახოთ; და თუ პროგრესი გულისხმობს ორგანიზმოს ფორმისა და შედგენილობის ზედმეტად გართულებას, მაშინ არჩევანის მოქმედების შედეგი მომეტებულ შემთხვევაში პროგრესი იქნება, ხოლო ზოგჯერ კი რეგრესიც. ასე მაგალითად: როცა ორმელიმე ორგანიზმო პარაზიტად გარდაიქცევა, იგი განიცდის ისეთ ცვლილებებს, რომელიც რეგრეს წარმოადგენენ და არა პროგრესს. მეორეს მხრით ზოგი განსაკუთრებული თვისებანი ჩვეულებრივ სასარგებლონი არიან ორგანიზმოსათვის, მაგრამ ხან ისეთი პირობები დგება რომ ეს თვისებანი ვნებას აძლევენ ორგანიზმოს და არჩევანი სპობს მათ, ესე იგი სხეულის აგებულება გართულების მაგივრად უფრო მარტივდება.

მაგალითად მწერებს, ორმელიც პატარა კუნძულებზე სცხოვრობენ და გარშემო დიდი ზღვა უდევთ, ფრთები

შეიძლება მავნებელ ორგანიზმების და და ფრთიანი მწერი უფრო მალე გადაქვს ქარს ზღვაში და ღუპავს) და არჩევნის ზედმოქმედებით აღარ დაეზარდოთ. კუნძულზე გერკვალენ ერთ გერმანელ ექსპედიციას აღმოუჩენია ბევრი სხვადასხვა გვარის მწერი (წყვილ ფრთიანებიდან, პეპელებიდან და სხვ.) ორმელიც უფრთონი გამხდარან და ვეღარა ფრინავენ სრულებით.

გარდა ამისა, როცა პირობა-გარემოებანი, ორმელთაც უკვე შეეთვისნენ ორგანიზმონი, მოულოდნელი რამ მიზეზით იცვლებიან, მაშინ მიხედვით იმისა თუ როგორი ბუნებისა არიან ორგანიზმოები, რა ხასიათისაა თვით ცვლილება, რა ზომით წარმოსდგა იგი, წარმოსდგა ერთბაშად უეცრივ თუ ნელ-ნელა, ყველა ამის მიხედვით შეიძლება მომხდარმა ცვლილებამ სულ სხვა რიგად იმოქმედოს ორგანიზმოების უკვე მოწყობილ ყუდრო ცხოვრებაზე. ერთ შემთხვევაში ცხოვრები (ან მცენარენი) ისევ მოახერხებენ ამ ახალ პირობების ხელახლად შეთვისებას, ხოლო თვითონაც შეიცვლებიან ფორმით, შედგენილობით და განაგრძობენ ახალ ცხოვრებას; ზოგ შემთხვევაში კი ეს შეუძლებელი იქნება ან იმიტომ რომ თვით მომხდარი ცვლილება იქნება მათვეის ბუნებრივად შეუთვისებელი, ან და იმიტომ რომ მძიმე-მძიმედ მომქმედი არჩევანი ვერ მოასწრობს ორგანიზმოების შეცვლას ამ ახალ პირობების შესაფერად და ყველანი ამოსწყდებიან.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

ვსთქვათ მდინარე წყალმა იწყო ბლობად დენა მლაშე ტბაში და ტბას სიმლაშე აკლდება თანდათან.

ტბაში მცხოვრები ორგანიზმონი ზოგნი დაიხოცებიან მაშინვე და ზოგნი კი თანდათან შეეჩვევიან სიმღაშის მოკლებას და ბოლოს შეიძლება სრულიად უმარილო მდინარე წყალშიაც შესძლონ ცხოვრება. სხვანაირი შედეგი მოჰყვება ამ მოვლენას, თუ იგი ერთბაშად მოხდა, ერთბაშად გამოსცალდა წყალს მთელი მარილი. წინად, როდესაც ხმელთა შუა ზღვიდან მღამე წყალი გადმოვარდნილა მაშინდელ პონტის დიდ ტბაში, რომლიდანაც წარმოსდგა შემდეგ შავი ზღვა, და სადაც წყალს ისეთი სიმღაშე არ ჰქონდა მაშინ, როგორც ზღვაში, პონტის ტბის მცხოვრებნი სასიკვდილო პირობებში ჩაცვინდიან.

ესეთივე სასიკვდილო მდგომარეობაში შეიძლება ჩაცვინდნენ ის ორგანიზმონი, რომელთაც თავიანთ გამოსაკვებად ერთი რომელიმე სახის ორგანოები აქვთ შემუშავებული, თუ მო-

ულოდნელად სწრაფად შეეცნობენ რომელიმე ბიოლოგიური პირობები. ბრანდესის სიტყვით სამხრეთ ამერიკაში წინად ყოფილ ეპოქაში სხვათა შორის უცხოვრია ერთ ვეფხვის მაგვარ ცხოველს სახელიდ *Macchairodus* (მაშეროდუს), რომელიც ნადირობდა ერთ დიდ უშველებელ ცხოველზე სახელად გლიპტოდონი (Glyptodon). საარსებო ბრძოლაში არჩევანის საშუალებით მაშეროდუს დაზრდია ისეთი დიდი კბილები, რომ როდესაც გიპტოდონი ამოწყვეტილა, მაშეროდუსიც სასიკვდილო პირობებში ჩავარდნილა და ამოწყვეტილა, რადგან თავისი უზარ-მაზარი კბილებით ვერც ერთი საჭმლის ჭამა ვეღარ შესძლებია*), არჩევანს კიდევ ვერ მოუსწორია ამ ახალ პირობების შესაფერად საჭირო ცვლილებების გაზრდა-განვითარება საკმაო დროის უქმნლობისაგამო.

გ. რცხილაძე
(შემდეგი იქნება)

მეფუტების კალენდარი

08ის-08ლისი

ფუტკარი ზაფხულიდანვე შეუდგება ხოლმე თავისი ბინის საზამთროდ შემზადებას: პფისაგა დინდგელით ყველა ხერელებს, სადაც კი შეამნევს სკაში; ავიწროებს სკის მისაფრენ კარებს და სტოვებს ღიად მხოლოდ, რამდენიც დასჭირდება ძველი პაერის გამოსაცვლელად. ამ შემთხვევაში ფუტკარები ხელმძღვანელობენ თვით ოჯახის სიილიერით: რამდენადაც ოჯახი ძლიერია, იმდენად მეტი პაერია მათთვის საჭირო, მაშასადამე მისაფრენიც უფრო ფართო მოუნდება.

ყველაზე მეტს მზრუნველობასა და წინდახედულობას ღუტკრები საზამთრო სარჩის დაბინავებაში იჩენენ: თაფლს სკის თავში და მის აქეთ-იქით ვვერდებზე იუნჯებენ, ხოლო შუაგულ ფიჭებს კი ნახევარზე მეტად ცარიელსა სტოვებენ ზამთარში ზედ საცხოვრებლად, ბუდეთ, ვინაიდან სეთი ფიჭები გაცილებით უფრო თბილია, ვიდრე თაფლიანი სარაჯები.

შემდეგ ამისა ადვილი წარმოსადგენია ბარბაროსობა იმ უგვანო მეფუტკ-

*) ფიქრობენ რომ მაშეროდუსი ჩასცემდა ხოლმე თავის დიდ კბილს თავის მსხვერპლს კისერში და ამონაჩევე სისხლსა სვამდა.

რეებისა, რომლებიც ფუტკარს შუა-
გულ ზამთარში აცლიან თაფლს და
მით უწყალოდ უფუკავენ წვა-დაგვით
მოთბუნებულს ბუდეს და საუცხოვოდ
განაწილებულს სარჩოს.

თაფლის ამოლება სკებიდან ზაფხულ-
შივე უნდა მოხდეს. ამით ფუტკრებს
საკმარისი დრო ეძლევათ, ხელმეორედ
მოაწყონ თავიანთი ბუდე ისე, როგო-
რადაც მათი ბუნება მოითხოვს.

მაგრამ არც ნამეტანი აღრე ამოლე-
ბაა კარგი: უნდა მოუცადოთ უმთავ-
რები ლალიანობის შეწყვეტას და თაფ-
ლის სრულებით დადუღება-დამწიფე-
ბას. პირველის ნიშანი იქნება მამლე-
ბის სკებიდან დევნა-ულეტა, ხოლო
მეორისა—სანთლის სახურავებით სა-
რაჯების გადაფისვა-დაბეჭდვა. ეს დრო
ჩვენში ივნისის უკანასკნელი რიცხვე-
ბიდან იწყება და ივლისის პირველ რი-
ცხვებამდე გასტანს ხოლმე დაახლოე-
ბით.

თაფლის საქაჯავი ოთახი.—ვიღრე
სკებიდან თაფლის ამოლებას შეუდგე-
ბოდეთ, საჭიროა ჯერ მომზადდეს ოთა-
ხი, საღაც თაფლის გამოქაჯვა გზა-
დიან, რომ ფუტკარმა ვერ შესძლოს
შიგ შესვლა, თორემ ოთახი მთლად
ფუტკრებით აგვევსება. ასეთი სიფრთხი-
ლე საჭიროა ნამეტნავად მაშინ, რო-
დესაც მთლად შეწყვეტილია მინდორ-
ში ღალიანობა.

კარგად მოწყობილს საფუტკრეზე
თაფლის საქაჯავ ოთახის ფანჯრებს
მავთულის მტკიცე ბადეები აქვთ გაკ-
რული, რისგამო თაფლს ფანჯრებ გახ-
სნილს ოთახებში ჰქავენ და ამისა-
თვის იქ ისეთი სულის შემცუთავი სი-
ცხის ბული აღარა ტრიალებს, როგორც
ფანჯრებ დახურულს ოთახებში.


ჭურჭელი და იარაღი თაფლის ამო-
ლების დროს საჭირონი.—თაფლის ამო-
სალებად გადახდილს სკას ჯერ უნდა
ოდნავ დაებოლოს, რომ ფუტკარი სკის
სართულიდან ბუდეში ჩავიდეს. შემ-
დეგ შეუდგებით ჩარჩოების თითოთი-
თოდ ამოწყობას. თითოეულს ჩარჩო-
დან ჩოთქით გადაწმენდავთ ამოყო-
ლილს ფუტკრებს და ჩავაწყობთ გან-
საკუთრებულს ყუთში, რომელსაც
სწრაფადვე ვხურავთ სახურავს რომ
ფუტკრები ხელახლად არ შეეხვივნენ
სარაჯებს. ასეთს ყუთში ექვი ჩარჩო
ჩადის და რომ ახდილს სკასთან დიდი
ხნით ცდა არ მოგვიხდეს, უნდა ორი
ყუთი ვიქონიოთ: როდესაც ერთს
ყუთს ავავსებთ და გავგზავნით საქა-
ჯავს ოთახში დანარჩენ ექვს ჩარჩოსაც
მეორე ყუთში მოვათავსებთ და ამავე
წესით ახლა სხვა სკაზე გადავალოთ.*)

საქაჯავს ოთახში სარაჯების უბრა-
ლოდ დაწყობა არ შეიძლება: ბევრი
მათგანი სკიდან ამოლების დროს ზიან-
დება და იმდენი თაფლი იღვრება, რომ
ოთახში ალაგ-ალაგ მთელი გუბეები
დგება, აქედან ფუტკრებს გადააჭვო
აქეთ-იქით ფეხებით და მთელი იატაკი
ისვრება თაფლით. საჭიროა ვიქონიოთ
სკის სართულების ზომის ორი ყუთი,
რომლებსაც ძირები ისე მტკიცედ უნდა
ჰქონდეთ გამოკრული, რომ თაფლი არ
გაედინოთ. უკეთესია, მათი ძირები
თუნუქ გადაკრულები იყვნენ და ცალ-
მხრივ ლდნავ დაქანებული, საღაც

*) აქ ჩვენ ვგულისხმობთ იმ მეფუტკრეთ,
რომლებიც არ მთაბარობენ. ამ დროს იგინი
მარტო სართულებიდან იღებენ თაფლს; ბუდი-
დან-კი, თუ რომელსაც ღჯახს მოეჭარება ა
სარჩო, აგვისტოში იღებენ, რადგანაც ამ დროს
ბარტყი ნაკლებადა სკაში და გამოქაჯვის დროს
მათი დაბადების შიში აღმარა აქვთ.

დაეტანება თაფლის სადენი მილი. ეს ყუთები უნდა დაიღვას მალობ ადგილზე და მათ ზემოდან მოთავსდნენ ერთიმეორებზე სკის ცარიელი სართულები, რომელიც შინაც გაწყობთ: ერთში — საფუტკრიდან შემოზიდულს ჩარჩოებს, მეორეში კი — უკვე გამოსაქაჯად დამზადებულებს, ეს იგი სახურავებ გადაჭრილ-გადაფერფლილ სარაჯებს. ძირს შედგმებათ ჭურჭელი, რომელშიაც იწყებს დენას სარაჯებიდან ყუთებში ნაწვეთი თაფლი. ასეთი ყუთების დაკეთებას ყველა მეფუტკრე თვითონ ვე ადგილად შესძლებს.

სარაჯების გადასაჭრელი დანები და საფერფლე. — ვიდრე სარაჯებიან ჩარჩოებს საქაჯავში ჩავაწყობდეთ, სახურავები უნდა გადაეჭრათ. ამ საქმისათვის კი საჭიროა ვიქონით: ფოლადის დანები ბინგამისა ან აბბოტისა (იხ. სურათი), რომელიც სახერხო სახმარებელნი არიან მუშაობაში



და საფერფლე, ანუ კასრი, რომელშიაც იწურება სარაჯებიდან გადანაჭრი ფერფლი.

დღეს მოძეტებულ ნაწილად თუნუქის საფერფლებია ხმარებაში, თუმცა იგი შინაურულადაც შეიძლება გაკეთდეს ხისა*). საფერფლე შესდგება ორი ერთი მეორეში მოთავსებულ კასრისაგან. ქვემოთ კასრს, რომელიც გაცი-

ლებით უფრო დაბალია, დატანებულია ქვეს ზემოთა ძირზე თაფლის სატენის მილი და თვით ძირი ოდნავ დაქანებულია მილისაკენ, რომ თაფლმა კასრიდან მცლები თავისუფლად იდინოს. ძირი ვერშოკის სილრმეზე ამ კასრში ჩადგმულია მეორე კასრი, რომელსაც ძირზე მოკალული მავთულის საცერი აქვს გადაკრული, ხოლო თავზე კი ნახევარ ვერშოკიანი ჯოხებით გადახარიხებული ზოლზოლად ჩარჩო. ამ ჯოხებზე ვაყრდნობთ სარაჯებს სახურავების გადაჭრის დროს, რომელიც (სახურავები) ცვივა კასრში და ცხრილის საშულებით იწურება. როდესაც კასრი აივსება გადანაჭრი ფერფლით, სახელურებით ამოვდგამთ მას ძირითა კარიდან, გადავცლით ფერფლს სხვა ჭურჭელში და იმავე წესით განვაგრძობთ მუშაობას.

გადანაჭრ ფერფლში თაფლი კასრში ჩაწრეტის შემდეგაც არის ხოლმე. ამისათვის ფერფლი კარგად უნდა გაირეცხოს წყალში და შემდეგ გაიღინუროს და გადაღნეს სანთლად, ხოლო თაფლ-წყალი კი, რომელიც დაშაქრულს ჩაიზედ უფრო მოტკბო უნდა იყოს, შეინახება სხვა ჭურჭლების გამონარეცხებთან ერთად ცალკე ჭურჭელში. აქ ეს თაფლ-წყალი ორი კვირის განმავლობაში (უფრო ადრეც) მაჭარსავით დაიდულებს, რის შემდეგ შეიძლება გამოიხადოს იმისგან სურნელოვანი არაყი. ესეთი არაყი გურიაში სანთლის არაყადა ცნობილი, რადგან მას წმინდა სანთლის სუნი უდის.


თაფლის საქაჯავი — საფუტკრის უმთავრესი იარალია. თეთრი, მოკალული თუნუქისაგან არის გაკეთებული და შესდგება სამი უმთავრესი ნაწილი-

*) ჩვენ აქ მხოლოდ შინაურულად გაკეთებულს საფერფლე აეწერთ. ვისაც სურს თუნუქისა იქონიოს, მას შეუძლიან მთლად გაკეთებული შეიძინოს ტფილისში — დიუმას საწყობში.



საგან: ჩანი, ციბრუტი და ჩიხრიხი თავის სახელურით.

ციბრუტში თითო მხარეზე თავსდება თითო ჩარჩო ბუდისა და ორ-ორი—სართულებისა. ჩარჩოები ჩაიღგმის თავდაყრია და მასთან იმ მოსაზრებით, რომ მათი ძირები როცა ციბრუტი ტრია-



საჭავავი.

ლებს, წინ გარბოლნენ. ტრიალის დროს თაფლი უუშუნა წვიმასავით დასდის საჭავავის კედლებს, აქედან ჩადის ძირში და შემდეგ მილის შემწეობით გადმოდის კარჩედ. პირველად ჩადგმულს ჩარჩოებს დიდხანს ტრიალი არ არგებს: როდესაც ფიჭების გარეთ გვერდებიდან ნახევრად გამოიღვრება თაფლი, ჩარჩოები უნდა გადმობრუნდეს მეორე მხარეზე, თორებმ შიგნითა გვერდი თავის სიმძიმით მიაწვება ფიჭას და გადახეხვას გარედ. როცა გადმობრუნებულ გვერდებიდან გამოვქაჯავთ თაფლს, კვლავ გადავაბრუნებთ ჩარჩოებს და გამოვქიჯავთ იმ ნახევარსაც, რომელიც წელან დაგვრჩა გამოსაჭავავი.

არც ჩარჩოების სიმძიმე უნდა დაგვრჩეს უყურადღებოთ. საჭავავში ჩა-

წყობის დროს: — უნდა ვაცალწოვანებული ერთმანეთის მოპირდაპირეთ ერთნაირი სიმძიმის ჩარჩოები მოხვდნენ, თორებმ საჭავავი ტრიალის დროს ქანაობას დაიწყებს.

საჭავავი, რა თქმა უნდა, მაღლობ ადგილზე უნდა დაიდგას, რომ იმის მილის ქვეშ ჭურჭლის შედგმა შეგვეძლოს. საჭავავიდან გამონადენ თაფლს ბევრი ფიჭების ანაგლეჯები გამოსდევს და რომ შესანახ თაფლს არ შეჰყენს, საჭიროა თაფლი იწურებოდეს საცერზი და მხოლოდ ამსახით ჩადიოდეს ჭურჭლში.

თაფლის ჭურჭელი.—თაფლის შესანახად იხმარება მსხვილი ჭურჭელიც და წვრილიც. ვინც ერთბაშადა ჰყიდის თავის მოსავალს, იმისათვის წვრილი ჭურჭლის ხმარება არა საჭირო, მხოლოდ ექვს ფუთზე უდიდესი ჭურჭელი კი არ არის სასურველი, რადგან მათი აწევ-დაწევა ერთობ საძნელო ხდება.

ამ ბოლო ხანებში მეცნიერებმა შემოიღეს სქელი თუნუქის ჭურჭელი, რომელიც იმითად კარგი, რომ აქ არც დაღვრის შიში გაქვს, არც ჭიანჭველების დასევისა, რადგან ხუფები გრძეტიულად ენურებათ და გადატან-გადმოტანაშიაც სახერხოა. ეს კია, რომ სადაც თაფლმა ძალიან დაშაქრება იცის, იქ ასეთი ჭურჭლიდან თაფლის ამოღება ძნელდება, რადგან ყელი ვიწრო აქვს. ასეთი თვისებისა ჩვენი თაფლი და ამისათვის ჩვენ ვამჯობინებთ კასრების ხმარებას, რომლებსაც შიგნიდან თეთრი თუნუქი აქვთ ამოკრული*), რომ თაფლმა ვერსად გაუვენოს. ესეთი ჭურჭელი იმითად კიდევ

*) ცინკი არ ივარებს, რადგანაც ეს ლითონი ამჟავებს თაფლს.

კარგი, რომ მის გაკეთებას თითქმის ყველა მეფუტკრე შესძლებს აღგილობრივ და იაფალაც დაუჯდება.

ჩვეულებრივ ბოჭკებში თაფლის შენახვა სახითათოა, რაღაც თაფლი არა უწოდას ბოჭკის, როგორადაც წყალი ან ლვინო, და ილვრება კედლებიდან გამოუვენით.

წვრილ-წვრილად თაფლის გასასყიდად იხმარება სხვადასხვა წონის წვრილოვე ჭურჭელი, ერთი გირვანქიანიდან დაწყობილი ვიდრე 10--12 გირვანქიანებამდე.

შუშის ქილების გარდა ეხლა ხმარებაში შემოვიდა თეთრი თუნუქის კოლოფები მავთულის სახელურით და ხუფით. თუ ამ ჭურჭლის წონას თაფლის წონაზედ მივალთ გაყიდვის დროს, დახარჯული ფული თითქმის სრულებით ანაზღაურდება. ასი ქალა შეშისა (გირვანქიანი) ღირს 5—6 მანეთი, თუნუქისა კი—თითო სამ გირვანქიანი ქალა ღირს 15კ., ხუთ გირვანქიანი—20კ., 12 გირ.—30.; ასეულობით რო ვიყიდოთ, უფრო იაფი ეღირება.

თაფლის შენახვა.—თაფლს საზოგადოდ სინესტისა ძალიან ეშინიან: აღვილად ითვისებს სინოტიეს, წყლიანდება და ჰკარგავს ღირსებას. ამისათვის თაფლი უნდა ინახებოდეს მშრალს სარდაფში და ამასთანვე ჰაერიც ხშირად უნდა იწმინდებოდეს. ასეთ პირობებში თაფლი ძალიან დიდ ხანსა სძლებს.

თაფლის ჭურჭელს ხშირად ჰიანჭველებიც არ აძლევენ. მოსვენებას. მათ მოსაშორებლათ ჭურჭლებს გარშემონავთალინი. უნდა შემოეყაროს და ჰიანჭველების ხსენება გაქრება სრულებით. მაგრამ უნდა კი გვახსოვდეს, რომ თაფლი ნავთალინის სუნსაც აღვილად რთვი-

სებს, როდესაც კარდახშე უყრდნოშეს იმყოფება დიღხანს. ეს გარემოება უფრო ბეჯითად გვიმტკიცებს თაფლის საწყობ ოთხებში ჰაერის ხშირად გაწმენდის საჭიროებას.


გამონაქაჯი ფიჭების მოვლა-პატ-რონობა.—თუმცა ივნისში სიცხისა გამო თაფლი თხელია და აღვილი გამოსაქაჯი, მაგრამ მიუხედავად ამისა ფიჭებში მაინც რჩება თაფლი რომლის გამოსაწმენდად საქიროა ეს ჩარჩოები სკაშივე დაბრუნდეს. ეს უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც სრულებით მოვრჩებით თაფლის გამოქაჯვას. თუ ღალიანობა ჯერ მთლად არ არის შეწყვეტილი მინდოობში, ჩარჩოები დღისითაც შეიძლება ჩაეწყოს სკაში, თუ არა და ეს საქმე საღამოთი უნდა ასრულდეს, რომ საფუტკრეზე ჭურდობა არ გაჩნდეს.

ჩარჩოების დაწმენდა-დასუფთავებას ფუტკრები ორ-სამ დღესაც აღვილად მოასწრობენ, მაგრამ შემოდგომამდე იმათ ისევ სკაშივე ვტოვებთ რომ, ფიჭები ჩრჩილმა არ გაგვითუჭოს. ფუტკრები საუკეთესო დამცველები არიან ამ საზიზღარ სანთლის მტერისაგან. შემოდგომაზე როდესაც ჩრჩილის შიში აღარ გვექნება, მოვხდით სკებს მშრალი ფიჭებით სავსე სართულებს და მოვათავსებთ მათ ერთი-მეორეზე ცივს საფარში რომ ზამთარში, თუ ვინიცობაა ფიჭებს, ჩრჩილის კვერცხები შეჰყვა, დალაყდნენ ეს კვერცხები და ვეღარ იმოქმედონ.

ზამთრობით თაგვიც ძალიან ეტანება მშრალს ფიჭებს, ღრღნის მათ, აფუჭებს და შიგ ბუდეს იკეთებს. ამისათვის სართულები ისე მჭიდროდ უნდა იყვნენ ერთმანეთზედ. დაწყობილნი და თავ-ბოლო გამაგრებულნი, რომ თაგვი-

მა ვერაგზით ვერ მოახერხოს შიგნით შესვლა.

სანთლის გამოხდა. — საფუტკრეზე სანთელი თანდითანობით გროვდება დაწყებილი ადრე გაზაფხულიდან ვალრე გვიან შემოდგომამდე. ცალკ-ცალკ რომ გადნოთ სანთელი რამდენ-საც ავაგროვებთ თითოეულ შემთხვევაში, ამას ერთობ დიდი შრომა და დრო მოუნდება. რამდენიმე ხნობით ერთად შეგროვილს სანთელსაც შესამჩნევი მარცხი ემართება: უჩნდება ჩრჩილი და ფუჭდება. აი ამიტომ, ეს ერთი უხერხულობაც და მეორეც რომ თავიდან ავიცილინოთ, საჭიროა ვიქონიოთ **სანთლის მზეზე სადნობი ყუთი** (იხ. სურათი), რომელსაც ხუფი შუშისა



აქვს, ძირი კი თეთრი თუნუქისა. სან-თლის სადნობი მუდამ მზეზედა დგას და ცოტცოტობით ვყრით შიგ. ანაგ-როვს ძველს ფიჭებს, რომლებიც მზის სიცხოვლეზე ღნებიან, უალა ძირზედა რჩება და დამდნარი წმინდა სანთელი კი წვეთ-წვეთად ჩადის თუნუქის პატარა გვჯაში, რომელშიაც ცოტაოდენი წყალიუნ და იდგეს, რომ სანთელი გვჯის კედლებზედ არ მიეკრას.

როდესაც ბევრი გადასაღნობი სან-თელი მოიყრის თავს, მაგალითად, თაფლის გამოქაჯეის დროს, მაშინ ეს სანთლის საღნობი ველარ გვაქმაყო-

ფილებს. აქ საჭიროა სანთლის ერთგული ში გადაღნობა-გამოხდა.

ზოგი გადამდნარს უალიანს სანთელს პარკებში ჩასხამს ხოლმე და მერე ტაბი-კების ან უბრალო ჯოხების საშუალე-ბით ჰქავევნ სანთელს. ასე, ძალიან ბევრი სანთელი მისდევს უალას რაღვან ბევრიც რომ ვეცალნეთ, იმოდენა ძა-ლას ვერ მივიტან ტაბიკებით, რომ სანთელი მთლად გამოიქაჯოს. ამისათ-ვის ეხლა სხვადასხვა იარაღებია გამო-გონილი სანთლის გამცაქაჯი და გადა-საღნობი.

ჩვენ აქნობამდე ჭახრაკით მოწყობილ საქაჯავსა ვხმარობდით, ეხლა კი წყლის საშუალებით გხდით სანთელს. ამ გზას ვამჯობინებთ იმიტომ კი არა რომ ვი-თომ საქაჯავებით ცუდათ იხდებოდეს სანთელი, პირიქით საქაჯავი ძალიან კარგადა ჰქავას სანთელს, არამედ იმი-ტომ რომ საქაჯავი ხშირად ჰქეთქავს პარკს, რომელშიაც გამოსაქაჯავი სან-თელი ისხმება, და მუშაობას ართუ-ლებს. წყლით გამოხდა კი უფრო ადვი-ლია და სანთელიც არც სულ არ გას-დევს უალას.

გამოხდიან სანთელს ასე: ჩაყრით მთელ გამოსახდელ სანთელს პარკში, მოვაკრავთ პირს და ჩავდებთ დიდს ქვაბში, რომელშიაც ჩავასხავთ წყალს იმდენს, რომ პარკი მთლად იმაღებო-დეს. რომ წყალმა პარკი არ მოიტივ-ტივოს, ზემოდან ქვას დავადებთ.

როდესაც აღუღდება წყალი, ფიჭები დაწყება, სანთელი ზემოდამ მოექცევა წყალს, უალა კი პარკში დარჩება. ქვა-ბის გაცივებამდე პარკს ხელი არ უნდა ეხლოს, რომ დამდნარი სანთელი გარე-დან არ გაეკრას. ქვაბის გაცივების შემ-დეგ ამოიღება ჯერ კვერცულად გაყი-

ნული სანთელი და შემდეგ თბილი პარკიც.

გამოსახდელი სანთელი ხშირად ვერ ჩადის პარკებში ერთბაშად. მაშინ მთელ სანთელს პირდაპირ წყალში ჩავყრით, უპარკოდ. როდესაც ფიჭვები გაღნება, მთელ ამ სითხეს გაღმოვასხამთ პარკში. თუ პარკში ეს სითხე მთლად არ ჩაეტევა, უნდა რამდენსამე ხანს დავიცადოდ რომ პარკიდან სითხეშ იდინოს და ადგილი მიეცეს დანარჩენს სითხე-საც. სულ ბოლოს პარკში დარჩება ტლაპოს მზგავსი უალა, რომელშიაც, უმჭველია, კიდევ ბევრი სანთელი ერე-

ვა. ამ უალას პარკითვე ისევ უკავშირ ჩავდებთ და გამოვყდით იქიდან სან-თელს, როგორც პირველ შემთხვევაში ავწერეთ.

გავახსენებთ ახალ მეფუტკრეთ, რომ სანთელი საზოგადოლ სველ საგნებს არ ეკვრება, მშრალს კი ძალზე ეკოწიწება. ამისათვის გადამდნარი სანთელის ყალი-ბებში ჩასმის წინ ამ უკანასკნელებს უსათუოდ წყალი უნდა გამოევლოს, ლასველიდნენ თორებმ იქიდან სანთლის წამოგდება ველარა მოხერხდება, თუ იგი ხელმეორედ არ გადადნა ან რითიმე არ აშოიმტვრა.

მლ. ალ. ჯალიაშვილი

ეპროპის გაზარი

მატყლი

მთავარი მატყლის მწარმოებელი ქვე- უნები არიან: ავსტრალია, არგენტინა (სამხრეთ-ამერიკა) და სამხრეთ-აფრიკა. ამას ხელს უწყობს ამ ქვეყნების გან- საკუთრებული ჰავა. ცხვარი მთელი წლის განმავლობაში მინდორში პოუ- ლობს საძოვარს. 1903 წელს ავსტრა- ლიაში 74 მილიონი ცხვარი ითვლებო- და. არგენტინაში ითვლებოდა 1907 წ. 20 მილიონი ცხვარი. სამხრეთ-აფრიკა- ში (კაპლანდ) ითვლებოდა 1909 წ. 10 მილიონი ცხვარი.

ევროპის ბაზარზე მატყლს სხვადა- სხვ სახელი აქვს იმისდამიხედვით თუ საიდან არის გამოტანილი. კოლონიის მატყლს უწოდებენ, რომელიც გამო- ტანილია ავსტრიალიიდან, ახალი ზე- ლანდიიდან და სამხრეთ-აფრიკიდან. ლაპლატას, არგენტინადან და ურუ- გვაილან (სამხრეთ-ამერიკა) მოტანილს. ამას გარდა ევროპის ბაზარზე მატყლი

მოდის: სპარსეთიდან, რუსეთიდან, ეგვიპტედან, ესპანიიდან, პორტუგა- ლიიდან და სხვ.

უმთავრესი ჯიში არის მერინოსი (ისპანიის ცხვარი) და კროსბრედი (ინგ- ლისური ცხვრის და მერინოსის ნარევი). მერინოსის ცხვარს აშენებენ მარტო მატყლისთვის და საუკეთესო მატყლ- საც იძლევა; კროსბრედი კი მატყლსაც იძლევა და ხორციაც.

ამას გარდა მატყლი განირჩევა იმის- და მიხედვით თუ როგორ არის ცხვა- რი გაპარსული. ზოგან ცხვარს გაპარ- სვამდე აბანებენ, ზოგან კი პირდაპირ გაუბანავად პარსავენ. პირველ შემ- თხვევაში უწოდებენ ოფლიან ანუ ჭუ- ჭიიან მატყლს, მეორეში კი ზურგზე გაბანილ მატყლს.

გაურეცხელი ანუ ჭუჭყიანი მატყ- ლის წინის ორი მესამედი მარტო ჭუჭყისაგან შესდგება, ამიტომ ზემოდ ჩამოთვლილ ქვეყნებში გაპარსულ

მატყლს გარეცხენ ხოლმე, სანამ ბაზარზე გამოიტანენ. ამითი რასაკვირველია გადატანაც ნაკლები ჯდება. ასეთ გარეცხილ მატყლს ბაზარზე ინგლისური სახელწოდება აქვს „Scoured“.

მატყლის მყიდველს და მექარხნეს უპირველესად ყოვლისა აინტერესებს ცნობები, თუ რამდენი ფუთი მატყლი არის გამოტანილი ბაზარზე და რამდენის გამოტანას მოელიან. წარმოება კი დამოკიდებულია ცხვრის ჯანმრთელობაზე ამა თუ იმ ქვეყანაში. ხშირად ცხვარს ავადყოფობა უჩნდება და ათასობით ხოცავს, რისიც მაგალითები ჩვენ ქვეყანაში ძლიერ ხშირია. ავსტრალიაში გვალვანი წლებში ხანდახან ცხვარი მილიონობით იხოცება.

მატყლის წარმოებაში ფრიად საინტერესო საკითხს წარმოადგენს აგრძლვე ცხვრის გაპარსევა. ავსტრალიაში პარსევა იწყება საერთოდ ივლისში; არგენტინაში კი სეკტემბერში. ხანდახან ხშირი წვიმების გამო პარსევა გვიანდება და მატყლი ძლიერ გრძელი იზრდება და ბარაქიანიც არის.

მატყლის გასაღება დამოკიდებულია საერთო ეკონომიკური მდგომარეობაზე, რომელიც ან ამცირებს ან აღიდებს მას. ამას გარდა დიდი გავლენა აქვს ამინდს.

მექარხნები ყიდულობენ ან თითონ მწარმოებელ ქვეყნებში ან არა და აუქციონებზე, რომელიც ევროპის დიდ ბირჟებზე ხდება დროგამოშვებით. ავსტრალიის მატყლი უმეტესად ლონდონის აუქციონებზე იყიდება და კომისიონერების დამარებით თვით ავსტრალიაშიაც. ფასები გირვანქის კვალობაზე ინიშნება.

ფასი გაურეცხავი მატყლისა და მატყლის კიდებულია იმაზე თუ რამდენი პროცენტია სუფთა მატყლის ძაფი განსაზღვრულ წონაში. წმინდა მატყლის მისაღებად გაურეცხავ მატყლის ჩეხევენ, — გაანთავისუფლებენ მიწისგან, ქონისგან და სხვ. გაჩეჩილ გრძელ მატყლს, ნაკუჭ მატყლს და რამდენიმე პროცენტს ნესტს ერთად აიღებენ და ამას უწოდებენ მატყლის სავაჭრო წონას. მაგალითად თუ 100 გირვანქა გაურეცხავი მატყლიდან 40 გირვანქა სუფთა მატყლის მიიღებენ, იტყვიან 40% სუფთა მატყლით. მყიდველმა უნდა ივარაუდოს რამდენი 0% სუფთა მატყლი გამოვა ასი გირვანქა გაურეცხავი მატყლიდან.

ვაჭრობაში მატყლი დიდი ტომჩებით იყიდება. თითო ასეთი ტომარა იწონის ავსტრალიაში 10 ფუთს. მატყლით ვაჭრობა იწყობა ავსტრალიაში 15 ოქტომბრიდან და გრძელდება 15 თებერვალამდე.

არგენტინაში (ლაპლატა) ვაჭრობა იწყობა ოქტომბერში და თავდება აპრილში. $1/10$ მატყლისა გააქვთ ინტენსივურებზე, $9/10$ -ს კი აღვილობრივი კომისიონერები ყიდულობენ ევროპიელ მექარხნეებისათვის.

სამხრეთ-აფრიკიდან მატყლი უმეტეს ნაწილად ექსპორტერების დახმარებით ლონდონის ბაზარზე გამოაქვთ და აუქციონებზე (საჯარო ვაჭრობა) ყიდითან.

მატყლის უმთავრესი ბაზრები

ლონდონი

ლონდონი უდიდესი მსოფლიო ბაზარია მატყლისათვის. ავსტრალიის

მატყული უმთავრესად ლონდონში იყიდება. მატყულით ვაჭრობა მოწყობილია აუქციონებით (საჯარო ვაჭრობა); ასეთი აუქციონები წელიწადში ექვსჯერ იმართება: თებერვალში, მარტში, მაისში, ივლისში, სექტემბერში და ნოემბერში. თითო აუქციონი ორი ან სამი კვირა გრძელდება; აუქციონის მომწყობი დიდი სავაჭრო ფირმებია, რომელთაც ავსტრიალიიდან დიდაღი მატყული შემოაქვთ. ვაჭრობას ხელმძღვანელობენ სპეციალური დალალები. ყოველ წელს დეკემბერში ექსპორტერების კომიტეტი აცხადებს თუ როლის მოხდება შემდეგი წლის აუქციონები. ყოველი აუქციონის დაწყებამდე რვა დღით ადრე გამოცხადებულია თუ რამდენ ხანს გაგრძელდება აუქციონი და რჩმდენი ფუთია გასაყიდი მატყული. თუ წინა აუქციონზე ბევრი მატყული დარჩა გაუყიდავი, მაშინ შემდეგ აუქციონზე მარტო განსაზღვრულ რაოდენობას გამოიტანენ გასაყიდად. ასეთი განსაზღვრით ცდილობენ, რომ მაზანდა არ დაეცეს, აუქციონების მსევლობაზე დაწვრილებით ანგარიშებს იძლევით აღგილობრივი ყოველდღიური იგაზეთები, რომელნც თავიანთ ანგარიშებს აღგენენ „ვოლფის დეპეშათა სააგენტოს“ დეპეშებზე. დეპეშებში ფასები არ არის ხოლმე აღნიშნული, რადგან ძლიერ ბევრი სხვადასხვა ხარისხის და ფასების მატყული იყიდება, მაგრამ ყოველი აუქციონის გათავების შემდეგ უდიდესი მატყულის ფირმა ჰუთი და კომპანია აქვეყნებს საერთო ანგარიშს, რომელშიაც აღნიშნულია ფასები. ის ფასები, რომელიც უკანასკნელ აუქციონზე გადაწყდება,

სავალდებულოა საერთოდ მატყულის ვაჭრობისათვის ლონდონში. პირველი მეორე დიდი ბაზარი მატყულისათვის ინგლისში ქალაქი ლივერპულია. — აქ უმთავრესად ინდოეთიდან შემოტანილი მატყული იყიდება.

არტისტური (გელგიაში)

ლონდონის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს ანტვერპენს. აქ უმთავრესად სამხრეთ ამერიკიდან (არგენტინა) შემოტანილი მატყული იყიდება. აქაურ დიდ ფირმებს სამხრეთ ამერიკაში განყოფილებები აქვთ და იმათთი საშუალებით შემოაქვთ მატყული. მატყულს აქ ცალცალკე მექანიზმებზედაც ყიდიან და აუქციონებითაც. აუქციონები აქაც ექვსჯერ ხდება წელიწადში და თითო 5 დღეს გრძელდება. საერთოდ ლონდონთან შედარებით აქნაკლები მატყული იყიდება.

გერლინი

— ყოველობრივი ცენტრი გერლინია მეცხვარეობას ძალიან მისდევდა და 1863 წ. 28 მილიონი ცხვარიც ყავდა, მაგრამ ეს რიცხვი 1907 წ. 71/2 მილიონზე ჩამოვიდა. ეს შემცირება უმთავრესად აიხსნება ავსტრიალიის კონკურენციით, რასაც შედეგათ მატყულის გაიაფება მოჰყვა, და მეორეს მხრით გერმანიის საქართველოს წარმოების ზრდით. ბერლინის ბაზარზე უმეტესად გაურეცხავი და დაბალი ხარისხის მატყული იყიდება, რომელსაც თითონ გერმანიაში აწარმოებენ. საუკეთესო ხარისხის ავსტრიალიის მატყულს კი გერმანელი მექანიზები ლონდონში ყიდულობენ. ამნაირად ბერლინს მარტო აღილობრივი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენებული გატყლის გაზიდვა საზღვარგარეთის ბაზრებზე

ჩვენი ქვეყნის მატყლი უმთავრესად რუსეთის ბაზრებზე გაღის, განსაკუთრებით როსტოკში და მოსკოვში. სიმარტინისათვის მოვიყვან ციფრებს ბ-ნ ა. ევრებულოვის მოხსენებიდან კავკასიის მეურნეთა პირველ კრებაზე 1909წ. ქ. ტფილისში. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ 1898—1098 წლამდე ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე გაუგზავნიათ სულ 2,736,041 ფუთი მატყლი, აქედან 536,700 ფუთი ახვა რკინის გზებზე. ბათუმის სადგურიდან გაგზავნილია ამ 10 წლის განმავლობაში 24337, მიღებულია ამავე სადგურზე 1892 წელს 273000 ფუთი, 1893 წ. 310,000 ფუთი. აქედან ერთი ნაწილი საზღვარგარეთ არის გატანილი.

საზღვარ-გარედ ჩვენი მატყლი იყიდება საფრანგეთში, გერმანიაში და ონდონში; იგი ლირსებით ძლიერდაბლა სდგას შედარებით აქსტრალიის მატყლთან, რადგან ცხვრის მოშენება და მატყლის წარმოება ჩვენში პირველ ყოფილ მდგომარეობაშია. ამიტომ ფასებიც ძლიერ დაბლა სდგას. ამ უამაღლონდონში ჩვენ მატყლში გირვანქაში 16 კაპ. იძლევიან რასაკვირველია, ეს დაბალი ხარისხის გაურეცხავი მატყლია. ჩვენი მატყლი უმეტესად გაურეცხავი შემოდის. ზოგიერთ აღილებში ჩვენში ცხვარს გააბანებენ ხოლმე მაგრამ ეს სრულიადაც არაფერს უმატებს, რადგან არც ჭუჭუჭა აცლის და მატყლსაც ამძიმებს. სპეციალური მატყლის სარეცხავი მანქანები კი ჩვენში არ იპოვება. ესეთ პირობებში ჩვენი მატყლი

საზღვარგარეთის ბაზრებზე მეტოქეოცელები ბას ვერ გაუძლებს.

მიუხედავათ ამისა ჩვენი მატყლის გამოზიდვა მაინც შეიძლება საზღვარგარეთის ბაზრებზე, მხოლოდ ამას ან მსხვილმა მწარმოებელმა უნდა მიჰყოს ხელი ან არა და კოოპერატიულმა საზოგადოებამ. სამწუხაროდ ამიერ კავკასიის მეცხვარეთა საზოგადოებამ ვერ იბოგინა, ხოლო ცხოვრებაკი მოითხოვს მზგადი ორგანიზაციის დაარსებას და იმედი უნდა ვიქონით, რომ მომავალი მეცხვარეთა კრება ამ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს.

სანამ ეს ორგანიზაცია დაარსდებოდეს საჭიროა კერძო მწარმოებლებმა, ვისაც რამდენიმე ათასი ფუთი მატყლი შემოდის წლიურად, გამოგზავნონ მიუშები „მოსაგალის“ ჩემაქციაში.

ნიმუში ყოველი ცალკე ხარისხის მატყლის უნდა 5 გირვანქა, იყოს აღნიშნული, თუ რა ჯიშის ცხვრისა და შემოდგომის არის. თუ გაზაფხულისა. ამას გარდა უნდა დაინიშნოს ფასები 1 ფუთზე ბათომში ჩატანით. ნიმუშებთან ერთად მწარმოებელმა უნდა აცნობოს რედაქციას. თუ რამდენი ფუთის დამზადება შეუძლიან და რამდენი ხნის ვადაში.

მატყლი ერთნაირი ლირსებისა უნდა იყოს და არც ძალიან ჭუჭუჭინი. საჭიროა ჩვენმა მწარმოებლებმა ცურადლება მიაქციონ ამ საქმეს, რადგან ხანდახან აქცუფრო უკეთეს ფასსა იღებენ მატყლში ვიდრე რუსეთში.

„მოსაგალი“-ს წარმომადგენელი ლონდონი,

საჟურალებო ცნობები

დამწვარის ჭამალი. — დამწვარ ხორციელი ცურავინი უნდა წაისვათ, შემდევ დაასველოთ გლიცერინის ტილო და შემოადეთ. პირველად ცოტათი დაგეწვებათ, მაგრამ ამას არ უნდა შეუშინდეთ, რადგან ტკივილი მაღლე გაივლის. გლიცერინი დაამეტს დამწვარ ხორცს და ანთებასაც აქრობს.

დამწვარისათვის უებარია აგრედევ წმინდათ დაფქული სოდა, რომელიც ზემოღან უნდა მოაყაროთ, ან სოდიან წყალში დასველებული ტილო დაიდოთ. წყალში რაც მეტი სოდა იქნება გახსნილი, იმდენად უკეთესია.

შუწუკის გამოხარშეავი ჭამალი. — როგორც მოგეხსენებათ, ვიდრე მუწუკი გამოირწყვება საგრძნობელი ტეხა-ტკივილი იცის. ამის წინააღმდევ სულ უბრალო და იაფი საშუალებაა. აიღეთ წითელი თიხა და ფაფის ბზგავსად გახსენით მაგარ ძმარში. შემდევ თითის სისქეებ წაუტეოთ ფალასის ნაკერს და შემოადეთ მუწუკს. წამალი ხშირად გამოცვალეთ. თუ უბეჯითებთ მუწუკი ძალიან მაღლე გამოირწყვება.

კოლოს ნაკერის ჭამლობა. — აიღეთ საშელი მარილი, გახსენით წყალში და შემდევ ამ მზაში წყლით დაიზილეთ ნაკერი ადგილები. ქავილსა და სიწითლეს სწრაფად გაქრობს.

ფუტკის ან კელას ნაკერის ჭამლობა. — როცა ფუტკარმა ან კრაზანამ გიქბინოთ ასე მოიქეცით: გამოწურეთ ნიორი ან ბახვი და წვენით დაიზილეთ ნაკერი ალაგი. თუ დორჩე იძმართ ამ წამალს ტკივილიც მაღლე გაივლის და აღარც დაგისილებათ. საჭირო არ არის ხორცში ჩარჩენილი ისრის გამოლება, რადგან ხსენებული წამლის წყალობით, იმას არავით თარი ვნების მოტანა არ შეუძლიან.

მეჭიეჭის ჭამლობა. — უნდა აიღოთ ერთგვარი ბალახი, რომელსაც ქართულად უწცს უწოდებენ (Богородичная трава, —Thymis serpyllum). და ასე მოამზადეთ წამალი: ჩაყარეთ ბალახი ქილაში დაასხით ზედ წყალი და შეღით ცოტათი განელებულ ფურნაში ან თონქში. მეორე დღეს წამალი მზად იქნება. განელებულ ბალახს წვენს წაისვამთ მეჭიეჭზე, დააცლით სანამ წვენი თავისთავად შეშრება. თუ წამალი 10—14 დღე ზედისე უბეჯითეთ ასე, მეჭიეჭი უსათუოდ გაქრება. თუ მეჭიეჭი დიდია, მაშინ წამლობაც ხანგრძლივი დასჭირადება.

არის კიდევ სულ აღვილი საშუალება, სახელდობრ მკვახე ვაშლის წვენი. ხშირად უფრო ანტონოვის ვაშლს ხმარობენ. გასჭერით მკვახე ვაშლი და დღეში სამჯერ წაისვით მეჭიეჭზე, 10—12 დღეში მეჭიეჭი გაქრება.

შეცდომის გასწორება

„მოსავალის“ № 17, გვ. 7. სწერია: „მისი (სიმინდის) სამრავლი ორგანები — სამტკრე და სანაყოფე ერთ ძირზე არ არიან მოთავსებულნი, ნაყოფის ჩასახვა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ქარით ან მწერით, ან სხვა რამ საშუალებით მტკრე ყვავილისა სამტკრედან გაღიტანება იმ ძირზე, საუაც სანაყოფე ორგანოა და დაედინება ამ უკანასკნელს“.

უნდა იყოს: მიზი სამრავლი ორგანები — სამტკრე და სანაყოფე ერთ ძირზე არიან მოთავსებულნი, ხოლო ნაყოფის ჩასახვა ხდება მაშინ, როცა ქარით ან მწერით, ან სხვა რამ საშუალებით მტკრე ყვავილისა სამტკრედან გაღიტანება სხვა ძირის სანაყოფეზე და დაედინება ამ უკანასკნელს.

მოსავლის რედაქციაში იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

გ. ი. რცხილაძე კრებული არითმეტიკული ამოცანებისა (შეთქ ნაწილი) 50 კ.
იმისივე (თარგმანი) ქიმია პრ. როსკოსი (შეთქ გამოცემა) 30 კ.
იმისივე საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდგან და შეეცარიის ძირითადი კანონები 25 კ.
იმისივე „ბამბის თესლის მოყვანა“ (თარგმანი) 5 კ.